№ 240 24 ნოემბერი, პარასკევი 1866—1878 24 ნოემბერი, პარასკევი № 240

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ... ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

დღიური

*** ბათუმის დეპუტაციის ყველა წევრები გუშინწინ, საღამოს დაბრუნდნენ თფილისიდამ. ორს ამათგანს ჰუსეინ და ჰასან-ბეგ ბექან-ოღლებს რამდენიმე დღით ქუთაისში უნდა შეევლოთ, სადაც ნათესავები და მეგობრები ჰყავსო; დანარჩენები კი პირ-და-პირ ბათუმში წავიდნენ აქედამ ზოგი არდაგუჯში და ზოგიც მაჭახეთში დაბრუნდებოდნენ თავიანთ შინ.

რამდენათაც ეტყობოდათ, კარგის გულითა და გრძნობით დაბრუნდნენ ეს ჩვენი ახალი ძმები ქალაქიდამ. ღმერთმა ინებოს, რომ ესე კარგათ, ესე უანგაროთ დაწყობილი ძმობა, მეგობრობა და ერთობა დიდ ხანს, საუკუნოთ გაგრძელებულიყოს, რომ ეს ერთმანეთის სიყვარული და თანაგრძნობა მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც აღმოჩენილიყოს...

*** მთავრობას უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ ბათუმიდამ ფოთი-თფილისის რკინის გზამდინ რკინის გზა სამტრედიის სტანციიდამ დაიწყებაო, აქედამ ოზურგეთზე გაივლისო, შემდეგ ზღვის ნაპირას იქნება გაყვანილი, ქობულეთს გადასჭრის და ამნაირად ბათუმზე იქნება მიყვანილიო.

*** ზემოხსენებულისავე საგნის შესახებ გაზ. „მოსკოვის უწყებებში" დაბეჭდილია, რომ დ. მ. კავკასიის ნამესტნიკმა უმაღლესს მთავრობას წარუდგინა პეტერბურღში თავის აზრი ბათუმამდინ და ყარსამდინ რკინის გზის გაყვანის თაობაზედო.

ამბობენ, რომ რკინის გზას გარდა, ოზურგეთიდამ ბათუმამდინ შოსსეს გზაც უნდა გაიყვანონო.

*** ანდრეევსკის ქალის მკვლელობის საქმე ხვალ, შაბათს, არის დანიშნული თფილისის სამოსამართლო პალატაში. დამნაშავეების დამცველი უფ. სპასოვიჩი და ექსპერტი პროფესორი სოროკინი, როგორც ამბობენ, უკვე მოვიდნენ პეტერბურღიდამ ჩვენს ქალაქში.

ჩვენი გაზეთის სიპატარავე ნებას არ მოგვცემს, რომ სიტყვა-სიტყვით დავწეროთ ყველა, რაც ითქმის ამ საინტერესო პროცესსის დროს პალატაში; მაგრამ ვეცდებით, რომ შემოკლებით მაინც და თავის დროზე გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ეს პროცესსი.

*** ხვალისთვის ორშაბათისათვის დანიშნული ქალაქის რჩევის კრება ვერ მოხერხდა, რადგან ერთის მხრით ქალაქის სეკრეტარი უფ. იზმაილოვი ავათ იყო და მეორეს მხრით ხმოვანთა საკმაო რიცხვი არ მოგროვდა.

*** გუშინდელს ნომერში, ბათუმის დეპუტაციისათვის გამართულის სადილის აღწერაში, იმ ქართველთა და სომეხთ წარჩინებულ პირთა შორის, რომელნიც ამ საისტორიო სადილზე დაესწრნენ და რომელნიც გაზეთში იყვნენ მოხსენებულნი ჩვენ უნებლიეთ დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა სახელი ღენ.-ადი. თ. ლევან მელიქოვისა, რომელმაც დაარა

ფელტონი

სხვა-და-სხვა ერი

მაღალმა ღმერთმა ხელ-ახლა
ქაცს დაუბრუნა ედემი,
სადაც სცხოვრებდა ცოდვამდი
პირველი მამა ადამი.

—

ყოველის მხრიდამ მოატყდა
ადამის ტომი სამოთხეს;
გაიყვეს, გაინაწილეს
დაესახლდნენ თავ-თავის კუთხეს.

—

და მაშინ ბრძანა უფალმა:
„თქვენია მთლად ეს ქონება!..
„მე ხელს არ გიშლით... იხმარეთ!
„გამოიჩინეთ გონება!..."

—

ის ანგელოსიც გაფრინდა,
კარზედ რომ იდგა მცველადა;
და ხილულ იქმნა სამოთხე
ისევე, როგორც ძველადა.

—

ყოველმა ერმა თვის კუთხეს
უნდა სდვას კილო და კვალი,
და ვინც აჯობებს იმათში,
იმას აკურთხებს უფალი.

—

ინგლისელები

ინგლისელებმა შვენებას
არ მიაქციეს იქ ყური!..
აჰკაფეს ვარდი და ია,
ნაცვლად დასთესეს ზედ პური.

—

მთები ვახვრიტეს, კლდე აპეს,
ზღვა ზღვას შეუერთეს არხითა
და ააბრუნეს ქარხნები
სხვა და სხვა გვარის ჩარხითა.

—

აამართეს დროშა მუდამი;
ზედ ეს დასწერეს სიტყვები:
„მხოლოდ შრომა და ვაჭრობა,
„სხვას ქვეყნად არას მივყვები!"

—

და თავ-მომწონედ, ამაყად
ის დროშა ხელში იჭირეს.
სხვის თვალში ბეწვსა სწუნობენ,
თვისაში იქებენ დირეს.

—

ნემცები

მეორე დროშა ამართეს
ნემცებმა; ზედ ეს ეწერა:
„ჩვენი თავი და ოჯახი
„ამ ქვეყნად სხვა არ-რა გვჯერა!

—

„სანამ გვექნება სიგარი,
„კუპატი, ლუდი, პური,
„არას დავეძებთ!... ჩვენ სხვების
„არ გვმართებს სამსახურიო!"

—

ამ განზრახვითა შეუდგნენ
მეცნიერება—სწავლასა,
და ერთნაირად იმკვლევენ
დარბაზებსა და თავლასა.

—

საპირის გემო ქარხნები
ააგეს ფერად-ფერადი,
და ზედაც დალი დაასვეს
სასაკუთროდ და პირადი.

—

მერე დაიწყეს ოცნება,
როგორც მაძღარის წესია,
და იქ ჰფიქრობენ მოიმკონ,
სადაც მათ არ უთესია.

—

ჰუსსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლიმ, წარმოსთქვა დ. მ. კავკასიის ნამესტნიკის სადღეგრძელო. მასპინძლების რიცხვში დაგვაიწყდა აგრეთვე მოგვეხსენებინა ღენ. ისრაფილ-ბეგი ედიგაროვი, რომელიც რჯულით თათარია, მაგრამ საქართველოს შვილია და ღირსებით თავადი.

ამას გარდა ამ სადილზე წარმოითქვა ერთი სადღეგრძელო, რომელსაც ყველა ამ დროინდელი ქართველი ყოველთვის დიდის სიამოვნებით დალევს: ეს იყო ღენ. ტერ-ღუკასოვისაგან წარმოთქმული სადღეგრძელო თ. ბრიგოლ ორბელიანისა.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბათუმი, 12 ნოემბერს. დღეანდელის კორრესპონდენციით ყველაზე სასიამოვნო ამბავს ჩერქეზების შესახებ მოგწერთ, რომელსაც, მე სრული იმედი მაქვს, იმათზე გულმტკივნეულები ჩემზე არანაკლებ სასიამოვნოთ მიიღებენ:

აი საქმე რაში მდგომარეობს!

წარსული ომიანობის დროს გაცოფიანებული თათრების სოხუმიდამ ძალათ გადმოსახლებულ ჩერქეზებს ჩვენმა მთავრობამ ნება მისცა, რომ იმათ შეეძლებათ თავიანთ სამშობლოში დაბრუნდნენ.

ამ რამოდენიმე დღის წინეთ ზღვის პირათ მოგროვილიყვნენ სამას სულამდინ იმ ჩერქეზებიდამ სოხუმში წასასვლელათ, რომლებისათვისაც, როგორც წასელის საშუალებისათვის, ეგრეთვე ხუთი დღის საგძლისათვის მოწყალება იყო დანიშნული ჩვენიანე მთავრობისაგან.

ი ც ო ც ხ ლ ო ს კ ა ც თ - მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ა მ!!

ვერ წარმოიდგენთ, თუ რა სიხარულის ალმური იყო ანთებული იმათ დაჩაგრულ ღა ვაყვითლებულ სახეზე. აშფოთებული სიხარულით შესცქეროდნენ სამხედრო ცეცხლის-გემს „რედუტ-ქალეს“, რომელიც ემზადებოდა იმათ წასაყვანათ.

დიდათ გაბრაზებული მიდიოდნენ თათრების უმოწყალო მოქმედებაზე.

თუმც მართალია, ჩერქეზები საზოგადოთ რუსეთის დაუძინებელი მტრები არიან და ყოველთვის შემთხვევის მოყურალნი, მაგრამ, რამდენათაც მე გავიცანი ესენი, შემიძლია მტკიცე დასკვნა გამოვიყვანო, რომ, თუ ამ ახლო ხანში რაიმე კიდეე მოხდა რუს-ოსმალოს შუა, მაშინ ესენი იქმნებიან პირველი თავგანწირულნი მეომარნი ოსმალოს პირქვე დასამხობლათ.

რამდენათაც გამოკვლეული მაქვს ამნაირი მთიული ხალხის ცხოვრება, ხასიათი, ჩვეულება თუ შეხედულება, დარწმუნებული ვარ, რომ რამოდენიმე სვინიდისიანი, პატიოსანი და ამათი მცნობი კაცი ამ ხალხს ისე მიიზიდავს, რომ შეიძლება იმათზე იმდენათ წინასწარმეტყველების სიტყვას არ ჰქონდეს გავლენა, როგორც ამნაირი კაცების სიტყვებს ექმნება, და ისე შეუძლიათ ამათ თავიანთ წესებზე თაყვანი აცემინონ, როგორც წამებულის ხატზე...

საუბედუროთ, ამ ქამად ძრიელ ცოტას ვხედავთ იმნაირს ხალხშია ზემოხსენებულისთანა პირებსა. ჩვენ საიდან მოვესწროთ ამნაირი ხალხის დამშვიდებას, როდესაც ხშირად ჩვენ ვხედებით მიზეზი, ამათი დაშფოთებისა ჭკვიერ, ალშფოთებისა?

ჩემი ცოდნა იმდენათ არ მყოფნის, ის დაბეჯითებით გამოვესთქვა, ვითომც „სახელმწიფო სარგებლობა“ ამას თხოულობდეს; მაგრამ ამის წინააღმდეგ უფრო დაბეჯითებით იმის თქმა შემიძლია, რომ აქ არანაირი სარგებლობა სჩანს, რომ ვითომც სხვის სამშობლოში სხვა მთიულ ხალხს უფრო სარგებლობის მოტანა შეეძლოს...

დღეს რომ ვხედავ იმნაირ ნაზათ, საფრთხილოთ მოსახმარ თანამდებობებს და იმათზე ანიშნულ დაბალ გამგე პირებს, მე ვეღარ მიმიცია ჩემი კალმისათვის ნება, რომ კიდეე რამე ვსთქვა. „მიკვირს და გამკვირებია“.. არ ვიცი, ჩვენ მთავრობას უჭირს საიმედო და ღირსეულ კაცების შოვნა, თუ დღეანდელი საქმეების საჭიროება ასე თხოულობს?! არ ვიცი...

არ ვიცი იმისათვის, რომ დღეს ვისაც ვხედავ ძრიელ ნაკლებათ ვპოულობ ამნაირი ადგილებისათვის ღირსეულ პირებს. იმისთანები არიან და იმისთანები მოელიან გახდომას, რომლებიც არა ვგონენ, რომ ისინი კიდეე ყოფილიყვნენ საჭირონი სახელმწიფო სამსახურში; ბევრიც ათი-თუთხმეტი წ ლიწადი უსაქმოთ დარჩენილები (ის ღმერთმა უწყის, რა მიზეზების გამო); ზოგ ვეკრებსაც კი, არ გაგეცინოსთ, ეაჭრობა მიუტოებიათ სამსახურს ეძებენ.

რისაგან არის ეს? იმისაგან, რომ ყველაზე უფრო პირველი საშუალება ჯიბეების გასატენად სამსახურში შესვლაა ახლა..

მაგრამ მე და შენ, მკითხველო, გავ-

ი ტ ა ლ ი ე ლ ე ბ ი

ი ტ ა ლ ი ე ლ თ ა რ ო მ ნ ახ ეს
ი ს მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ბ უ ნ ე ბ ა,
ა ი გ ზ ნ ნ ე ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ ა,
ბ ა ო ო რ კ ე ც დ ა თ გ უ ნ ე ბ ა.

—

დ რ ო შ ა ზ ე დ ა ს ე მ ო ქ ა რ გ ე ს:
„მ ს ა რ ი ს ჩ ვ ე ნ ი მ ც ნ ე ბ ა ო:
„ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი დ ა ო ც ნ ე ბ ა,
„ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ო!“

—

ჰ ხ ა ტ ვ ე ნ, უ კ ვ რ ე ნ დ ა მ ღ ე რ ი ა ნ,
ბ უ ნ ე ბ ა ს ე ჯ ნ ბ რ ე ბ ი ა ნ;
ს ხ ვ ებ ს მ ა გ ა ლ ი თ ებ ს ა ძ ლ ე ვ ე ნ,
ჭ კ ვ ე ყ ა ნ ა ს ე მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ნ ი ა ნ.

—

თ კ ა ლ ს ს დ ე ვ ე ნ, გ უ ლ ს ა ჰ ყ ვ ე ბ ი ა ნ,
ძ უ ჭ ი ვ ი ვ ი წ ყ ე ბ ნ ე ბ ი ხ მ ი რ ა დ ა,
დ ა მ ი ს ბ რ ა ლ ი ა, თ უ ზ ო გ ჯ ე რ
თ ვ ი ო ჯ დ ე ბ ა თ ძ ვ ი რ ა თ ა.

ფ რ ა ნ ც უ ზ ი ბ ი

ფ რ ა ნ გ ებ მ ა თ ა ვ ი ს წ ი ლ - ძ ხ ვ ე ლ ი
ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა რ ი გ ა დ ა ბ ა მ ა რ თ ე ს;
ბ ე ვ რ ი ც ი ი ბ ფ ო თ ე ს დ ა შ ე მ დ ე ბ
წ ი ნ ე ლ ი დ ო ბ ა ა მ ა რ თ ე ს...

—

დ ა ს წ ე რ ე ! „თ ა ვ ი ს - უ ფ ლ ე ბ ა,
„ ძ ო ბ ა დ ა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ო ,
„ ვ ი ს ა ც ა რ ჰ ს უ რ დ ე ს ქ ვ ე ყ ნ ი ს თ ვ ი ს,
„ ღ ვ თ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო ს კ რ უ ლ ი ო!“

—

ს წ ა ვ ლ ა დ ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ე ბ ა,
ს ი ბ რ ძ ნ ე დ ა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა
მ ი ს ა თ ვ ი ს უ ნ დ ა თ, რ ო მ ს ხ ვ ე ვ ბ ს ა ც
მ ი ს ც ე ნ მ ი თ ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა!

—

შ რ ო მ ო ბ ე ნ შ ე ს ა ნ ი შ ნ ა ვ ა დ,
ბ უ ლ - გ ა ხ ს ნ ი თ, პ ი რ - მ ო მ ბ ი ნ ა ვ ა დ
დ ა ჯ ე რ ა რ ა ვ ი ს უ ნ ა ხ ა ვ ს თ
უ ა ა ქ ბ ო ვ ა დ დ ა მ ძ ი ნ ა ვ ა დ.

—

ჭ ი რ ს ი დ ა ლ ხ ი ნ ს ი ე რ თ გ ვ ა ვ ა დ
მ ა ღ ა ლ - ს უ ლ ო ბ ი თ ქ ე ბ უ ლ ნ ა ნ...
ბ ე ვ რ ჯ ე რ ც ჰ ქ ო ნ ი ა თ შ ა ვ ი დ ღ ე,
მ ა გ რ ა მ ა რ შ ე მ ი ნ ე ბ უ ლ ნ ა ნ!

—

ს ი თ კ ე ნ ა ც უ ნ დ ა ი ს ო ლ ო თ,
ვ ი თ კ ა ტ ა, ფ ე ხ ზ ე დ ს დ გ ე ბ ი ნ ნ!...
რ ა ჭ ი რ ი ც უ ნ დ ა მ ი ა დ გ ე ს თ,
ს ხ ი ი ს შ ე მ წ ე დ ე მ ზ ა დ ე ბ ი ნ ნ.

—

ქ ი ს რ უ ლ ი ც ბ ე ვ რ ჯ ე რ უ ქ ნ ი ა თ,
ა რ დ ა მ ტ ე რ ე ვ ი ა თ ფ ე ხ ე ბ ი...
დ ა ს ჩ ა ნ ს, რ ო მ ვ ი რ ა ვ ა ა ა ლ ე ბ ს
მ ა თ, გ ი ნ დ ა ა წ ვ ი ნ ო ს მ ე ხ ე ბ ი.

—

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი

ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი რ ო ც ა შ ე ვ ი დ ნ ე ნ
დ ა თ ა ვ ი ს კ უ თ ხ ე მ ო ნ ხ ე ,
უ ყ ო რ თ ო ბ ა ჯ ი ა ლ ლ ა შ ე ი ბ ე ს
დ ა ა ღ ტ ა ც ე ბ ი თ დ ა ს ძ ა ხ ს:

—

„შ ე ნ ი გ ა მ ჩ ე ნ ი ს ჭ ი რ ი მ ე!...
„ ს ხ ო ნ ე ბ ა ე ს ყ ო ფ ი ლ ა ო:
„ ზ ა ფ ხ ო ლ ს ი ნ ს ა ა ბ ო თ ჰ ბ რ ი ლ ა,
„ ზ ა მ თ ა რ ს ი ნ ბ ა ბ ო თ ბ ლ ა ო.

—

„რ ა ს ა ც კ ი თ ვ ა ლ ი ი ბ ო ბ ე ვ ს,
„ ა ნ ბ ო ლ ი ი ბ ო ნ ა ტ რ ე ბ ს ო,
„ ს ო ლ ა ქ ყ ო ფ ი ლ ა; ღ ვ თ ი ს ბ ა ღ ლ ი თ,
„ ს რ ო ლ ა დ ე ე რ ა ვ ი ნ ა ჰ ბ რ ე ბ ს ო!!“

—

„ დ ა რ ა ლ ა უ ნ დ ა ა მ ქ ვ ე ყ ნ ა დ
„ ა დ ა მ ი ს შ ე ი ლ ს ა ბ ი ტ ი ო?
„ ვ ი ნ ც ა მ ა ს ა რ ბ ა ს ჯ ე რ დ ე ბ ა,
„ ბ ი ჭ ი ი ქ ნ ე ბ ა, რ ე ტ ი ო!

—

„ ა მ ა ა ს ა მ ო თ ხ ი ს კ ო ნ ჭ ო ლ ს ა
„ რ ა ლ ა ა კ ლ ი ა ე ო ნ ი ო?!..
„ დ ა ე ჯ დ ე თ დ ა ლ ხ ი ნ ი გ ვ ე ნ ო ;
„ ბ ა ხ ს ე ნ ო თ მ ა ღ ლ ა ღ ვ ი ო!“

—

დ ა ჰ კ რ ე ს ზ ო ნ ა ვ ა ,
დ ა ს ძ ა ხ ე ს „ ჰ ა ო ! ჰ ! ! “

ჩუმდეთ, რა გვენ ღვლება? რა ჩვენი საქმეა? მე და შენ ახლა ის ვიფიქროთ, რომ ეხლა ზამთარი მომავალია, და რამდენი ცხვრები გაიკრიჭებიან მატყლის ასართმეველათ, რომ ზოგიერთების ტანი შეიმოსოს.. დიდებულო ღმერთო? ბანა ეს შენი წესია, რომ ის საწყლები შენივე გაჩენილი ცხვრები თავ-შეუფარელნი სიცივეში კანკალებდნენ, და იმათი მატყლით სხვები თბილ ოთახებში გამოჭიმული ისხდნენ?! დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი..

უჰ! სად გაგვიტაცა ფანტაზიამ.....

ეხლა. მოგეხსენებათ, ზამთარი მოდის. ჰაერში რაღაც შავი ნიალები ჩნდება; ჰგავს დიდ ზამთარს მოელის. ბრალი ჩვენი, რომ ზღვის პირსა ვართ, რომ ჩვენ დასასველებლათ წყალი ახლოს აქვს წვიმას და თოვლ-ყინულს.

ეხლა ჩვენი ბათუმის თუ ბათუმის ოკრუგის დეპუტაცია ქალაქში დიდ მთავართან წასულია. იმედი გვაქვს, ჩვენ საწყალ ხალხს რაიმე წყალობას გამოგვიტანენ მთავრობისაგან, რომელიც ეხლა აუცილებელი საჭიროა ღარიბი ხალხის მომავალი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ქიდევ დიდი მადლობა ართაანის უმფროსს უფალ მიხეილ მეფისაშვილს, რომელიც ეხლა ართვინის გამგეთ არის დანიშნული; ამან ამ რამოდენიმე დღის წინათ ჩამოიტანა ართვინის ოკრუგის მცხოვრებლებისათვის ოსმალოს დარიგებული საომარი მასალები; ვიდრე 3000 ნაირ-ნაირი იარაღები იყო, რომლებშიაც ერია პიბოდის და სხვა სისტემის თოფები. ეს ყველა საომარი მასალა წარუდგინა რუსის არსენალს; როგორც ამბობენ, ეს იარაღები თათრის მთავრობას უნდა გაუგზავნონ სტამბოლშიო, რადგანაც უფალ მიხეილ მეფისაშვილს ისე უთქვამს მცხოვრებლებისათვის..

თუმცა „დროების“ მკითხველებს დავიჯერდი, რომ ბათუმის მომავალ ბედზე და პორტო-ფრანკოზე რაიმე სიტყვა მეთქვა, მხოლოთ ბოდიშს მოვიხდი ამის აუსრულებლობისათვის, რადგანაც ჯერ ყველა საჭირო ცნობები ვერ შევკრიბე...

უცხო ქვეყნები

ინგლისი

ერთი ნემეცური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება ინდოეთიდამ, რომ ავგანისტანის წინააღმდეგ საბრძოლველად ინგლისმა ამ ჟამად გამოიყვანა სულ 34,000 კაციო, რომელიც სამ კოლონად არის გაყოფილიო: ერთი კოლონა 16,000 კაცი პეშაურიდამ წავიდა ავგანისტანისაკენ, მეორე 6,000 კაცი ყურუმიდამ და მესამეც—12,000 ქვეტიდამ. პირველი ორი კოლონა პირ-და-პირ ავგანისტანის სატახტო ქალაქის ქაბულისაკენ მიდის.

— რუსულ გაზეთს „ბოლოსში“ დაბეჭდილია ლონდონიდამ 12 ნოემბერს მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ინგლისის მინისტრებს შუა უკმაყოფილება ჩამოვარდა ლორდ ბიკონსფილდის ახლანდელ პოლიტიკის თაობაზედაო და, როგორც ისმის ზოგიერთი მინისტრები, სხვათა შორის მარკიზ სალისბერიც გამოდის თანამდებობიდამაო.

ოსმალეთი

სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ აქ სცლიან დიდ (სადამეს) ... , რადგან ამ ყაზარმებში უნდა დადგეს ინგლისის ჯარი, რომლის გამოსვლასაც მალე მოელიან ოსმალეთის სატახტო ქალაქშიო.

— მუხთარ-ფაშა დაუნიშნავთ იმ ოსმალოს ჯარის უფროსად, რომელიც ეპირის აჯანყებულთა დასამშვიდებელად არის გაგზავნილი.

გერმანია

ბერლინელი კორრესპონდენტი ერთის ფრანცუზულის გაზეთისა იწერება, რომ იტალიამ, საფრანგეთმა და გერმანიამ წინადადება მისცეს შვეიკარიის მმართებლობას შეცვალოს ის კანონები, რომელნიც უცხო ქვეყნელ პოლიტიკურ დამნაშავეებს შეეხება. ზემოხსენებული სახელმწიფოები თხოულობენ, რომ შვეიკარიამ ინტერნაციონალურ საზოგადოების წევრებსა და საზოგადოთ სხვა სახელმწიფოებიდამ განდევნილ ანუ გამოქცეულ პირებს თავის ქვეყანაში ცხოვრების ნება არ მისცესო.

ავსტრია

პარიჟიდამ იწერებიან ერთის რუსულ გაზეთში, რომ ავსტრიის იმპერატორსა და ბელგიის კოროლს ხელ-მოუწერელი წერილები მოუვადათო, რომელშიაც იმათ ურჩევენ ფრთხილად იყვნენ, რადგან ამ მოკლე ხანში იმათაც უპირებენ მოკვლას.

წითელ ნუნუას ეწაფნენ,
სთქვეს: „ეუბრიელსო ზარალი!“

—

ამართეს დროშა მაღალი,
ოქრო-მკედითა ნაკერი!
გამოეხატათ ზედ ჯვარი
და ქვეშ ეს იყო ნაწერი:

—

„ენა და სარწმუნოება,
„ზნეობა საამურიო;
„ამ ქვეყნად ყველას პატივი,
„მაღლა ღვთის სამსახურიო!

—

„მოყვრისთვის თავის-გაწირვა,
„და მეგობრული ვალიო!
„მტრისთვის მოსაგერებლად
„ბასრი შიშველი ხმალიო!!“

—

ასე დაწერეს, მაგრამ კი
ინი ძალმა წაიღო,
და მათი კარგი ყოველი
ჩხუბმა და ყალიმა იყო!

—

ჯერ ცუდი სანახავია
ათი მხარე მძინარი;
მარამ თუ გამოიღვიძეს,
ბედი იმათი წინ არი....

ბერძნები

წინდახედულად, ხერხითა,
საწყლად შევიდა ბერძენი
ოდესმე გამოჩენილი,
ქვეყნისთვის ბევრის შემძენი.

—

შეხედა სხვების შენობას,
ბულ-და-ბულ ათვალიერა;
მერე დროშაზედ ქარაგმით
ტკბილის იმედით დასწერა:

—

„სჯობს მაშინ ხერხი ვიხმაროო,
„როცა ალარ სჭრის ხმალიო
„და ვეშმაკო იქ, სადაც
„არ გადის სამართალიო,

—

„რომ დავიბრუნო ოდესმე
„ჩემი დიდება ძველიო!...
„და ნურვინ სცდილობს უბრალოდ
„შემაშლევინოს ხელიო!

—

„არ ვჰკითხავ სლოვიანებსა.
„ბედას ეუტირებ თათრებსო,
„და ინგლისელებს—მათ მომხრებს
„დავაკარგვინებ დეთრებსო!“

—

ბედმში სხვებიც შევიდნენ,
მაგრამ არ მოვიხსენიებთ,
რადგანც მიდგომით ვერ ვაქებთ
და მართლით კი ვაწყენიებთ..

—

როცა ყველანი დასახლდენ,
მობძანდა მაღლით უფალი
და გადაავლო ედემსა
მამობრივ—წყალობის თვალი.

—

ბრძანა: „მ ურს ყველას უჩვენო
„მე ორი მაგალითიო,
„და ერთს კარგზედ და ერთს ცუდზედ,
„მათ მიუშვირო თითიო!“

—

ჯერ ფრანცუზებზედ უჩვენა:
„მისდიეთ იმათ კვალსაო
„და მაშინ მაღლით ვაკურთხებ
„თქვენს ბედს და მომავალსაო!“

—

მერე იმ ერთსაც შეხედა;
„ეს ხომ ხედავთ თქვენიო?
„არ მიჰკვეთ მგის გზა და კვალს,
„არ გაირისხოთ ზენაო!“

—

ბრძანა და ნიალლით ამაღლდა
ზეცასვე ღმერთი უფალი...
და ვისაც არ წამ ღვთის სიტყვა,
დაუ ნალდება ... !...

ეკეკი

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

რომი, 20 ნოემბერს. მთავრობის განკარგულებით ბარიანტის ყველა კლუბები, სულ 30-მდინ, დაკეტეს.

ლაგორი, 20 ნოემბერს. ერთი ნაწილი აფრიდის ხალხისა დაემორჩილა ინგლისის ჯარებს, მეორე ნაწილი განფანტეს. ინგლისის ჯარებმა მოთხარეს ხადიბაგის ხევის მთებზე აშენებული ციხე. ხაიბარის გზაზე დაკარამდინ არავითარი შიშიანობა აღარ არის.

პეტერბურღი, 21 ნოემბერს. დღეს მდ. ნევაზე ყინულმა დაიწყო დენა.

ლონდონი, 21 ნოემბერს. ლაგორიდამ მოვიდა შემდეგი ტელეგრამმა: გუშინ ხაიბერის ხევში მთელი დღე იყო ბრძოლა ღენ. რობერტსის ჯარსა და ავღანელებს შუა. ღენ. სტუარტის ჯარები ქირტაში მივიდნენ, ბალანის მთებთან. ყანდაარიდამ იწერებიან, რომ ავღანისტანის ემირმა შირ-ალიმ ყანდაარის შემოსავლის ანგარიშში 20,000 რუპი აილოვო.

პეტერბურღის ბირჟა, 22 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის — —	97	„
მეორე — — — — — —	95	25
მესამესი — — — —	95	25
მეოთხესი — — — —	95	12
აღმოსავლეთის პირ. —	91	75
აღმოსავლეთის მეორე —	91	12
ოქრო, ½ იმპერიალი —	8	42

თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — —	„	„
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	235	50
მეორე სესხის — — —	229	25
1 მანეთი ღირს:		
ლონდონი — —	23	37 პენსი
ამსტერდამი — —	118	12 ცენტი
ბერლინი — — —	199	50 პფენიგი
პარიჟი — — —	246	„ სანტიმი
კავკასიის კრასინი —	„	„

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში: გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

აგრეთვე ამ დღეებში გამოვა ბეჭდვიდან და იქმნება გასასყიდათ ამავე ადგილებზედ: ივ. კერესელიძის **ლექსები**, გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან

ფასი ყველგან 50 კაპ.

(5—1)

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ისაც ჰაურს ყდაში გადაკრული ვიილოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

საყმაწვილო კონა პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

პატარა ბიბლიოთეკა, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები. (10—5)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
[illegible] . .	6	57			6	75	3	75
[illegible]ედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 23 ნოემბერს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	80
ფქვილი წითელი . . .	1	50
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	6	50
—ამერიკისა, ფუთი . .	7	30
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი.	7	50
—თარაქამისა ფუთი . .	5	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	5	60
ქონის სანთელი ფუთი .	6	80
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	6	40
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	80
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარალევიჩი — შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი — შინაგ. ა. ბ. [illegible]ვი — საბებიო და ბავშვის, პ[illegible]ვი — თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგ., ქიუჩარიანცი — სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი - შინაგ., ა. ბახუტოვი — საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი — თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 23 Ноября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.